შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

წაკითხულის გააზრება და ანალიტიკური წერა

დღეს გამოცდა ჩატარდება წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში.

1. **წაკითხულის გააზრების** ნაწილი შედგება სამი ტექსტისა და 21 ტესტური დავალებისაგან.
   ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 21.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.
თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.
არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

2. **ანალიტიკური წერის** ნაწილი შედგება ორი დავალებისაგან:
   ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 20.
   თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 10.
   ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

წაკითხულის გააზრება

I ვარიანტი

21 შეკითხვა

დრო – 1 სთ 15 წთ

ტექსტი A

სამკაულის ისტორიის საწყისები წარსულ ათასწლეულთა წიაღში იკარგება. სპილენძ-ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული (ძვ. წ. IV-II ათასწლეული), როცა ადამიანი ლითონს დაეუფლა, ლითონმა, განსაკუთრებით ოქრომ და ვერცხლმა, სამკაულის წარმოებაში უპირველესი ადგილი დაიმკვიდრა. ამის ძირითადი მიზეზი იყო ამ კეთილშობილი ლითონების, ოქროსა და ვერცხლის, მიმზიდველი ფერი და ბზინვარება, მათი ქიმიური მდგრადობა. გარდა ამისა, ორივე ეს ლითონი, განსაკუთრებით კი ოქრო, არაჩვეულებრივად პლასტიკურია, რის გამოც შეუცვლელი მასალაა სამკაულის წარმოებაში. ოქრომჭედლობა, როგორც ხელოსნობის დარგი, წარმოშობიდანვე მნიშვნელოვანწილად სწორედ სამკაულთა წარმოებას ემსახურებოდა. ამდენად, ოქრომჭედლობის განვითარების ისტორია ძირითადად ემთხვევა სამკაულის ისტორიას. თუმცა ვერავინ იტყვის, როდის შეიმკო პირველად თავი ადამიანმა. პირველი სამკაული იყო ის, რასაც ბუნება პირველყოფილ ადამიანს მზამზარეულად სთავაზობდა; ყვავილებითა და მცენარეული რტოებით შემკობის წესი კაცობრიობას დღემდე გამოჰყვა.

ბრინჯაოს ხანაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა სამკაულთა ძირითადი სახეობები – ბეჭედი, სამაჯური, გულსაკიდი, ყელსაბამი, საყურე და დიადემა (შუბლის შესამკობელი) და შეიქმნა კომპლექტი, ანუ სამკაულის ნაკრები, რომელსაც დღემდე არ განუცდია არსებითი ცვლილება. საუკუნეთა განმავლობაში იცვლებოდა სამკაულის მასალა, ფორმა და სტილი, მაგრამ უცვლელი რჩებოდა სამკაულის ძირითადი კომპლექტი.

სამკაულს ოდითგან მხატვრულ-ესთეტიკური დანიშნულება ჰქონდა. მისი მიზანი ადამიანის შემკობა იყო. ამდენად, ქალის სილამაზის იდეალისა და ჭირვეული მოდის ცვალებადობის კვალდაკვალ სამკაულის ფორმა და ხასიათი საკმაოდ სწრაფად და ხშირად იცვლებოდა. სამკაულს იმთავითვე ჰქონდა ასევე ავგაროზის დანიშნულებაც. ფიქრობდნენ, რომ თუ ადამიანი სამკაულად ატარებდა ღვთაების ან მისი რაიმე ატრიბუტის სიმბოლურ გამოსახულებას, იგი ეზიარებოდა ამ ღვთაებას და მისი მფარველობის ქვეშ დაცული იქნებოდა ყოველივე ავისაგან. განსაკუთრებული ზებუნებრივი ზემოქმედების ძალა მიეწერებოდა სამკაულად გამოყენებულ ცხოველთა კბილებს, ზოგიერთ მინერალს და სხვ.

ტექსტის გაგრძელება →

შუა საუკუნეების ქრისტიანულ ქვეყნებში, სადაც ოქრომჭედლობა განსაკუთრებით განვითარდა, სამკაულთა შორის საპატიო ადგილი დაიკავა ჯვარმა, როგორც ქრისტეს სიმბოლომ. მაგრამ არც ათასწლეულების სიღრმიდან მომდინარე ძველ რწმენა-წარმოდგენებს დაუკარგავს მნიშვნელობა ამ ეპოქაში. პირიქით, სწორედ შუა საუკუნეებში, როდესაც გაიზარდა ინტერესი ალქიმიისა და ასტროლოგიის მიმართ, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ფერადი ქვების, მინერალების სიმბოლიკას, რასაც ზოდიაქოს ნიშნებიც დაუკავშირეს. ეს წარმოდგენები დღესაც ცოცხლობს.

სამკაულს ძველ დროში ეთნიკური თუ სოციალური მდგომარეობის განმასხვავებელი ნიშნის, ანუ ინსიგნიის ფუნქციაც ჰქონდა. სამკაული, როგორც ინსიგნია, გაცილებით დიდი დატვირთვის მქონე და უფრო კონსერვატულიც იყო. ბეჭედი, სამაჯური, ყელსაბამი და საყურე გარკვეულ პერიოდში წარჩინებული მამაკაცის მორთულობის აუცილებელი ელემენტი გახდა.

საქართველოს მიწის წიაღი მდიდარია მადნეული რესურსებით. საქართველოს ტერიტორიაზე ადრებრინჯაოს ხანის (ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი) ყორღანებში აღმოჩენილი მასალა გვიჩვენებს, რომ აქაური ოქრომჭედლები ფლობდნენ ლითონის მხატვრული დამუშავების უმთავრეს ხერხებს; გარდა ამისა, უძველესი სამკაულის შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოქროს სამკაულს ზედა ფენის წარმომადგენლები – როგორც კაცები, ისე ქალები – ატარებდნენ, მასობრივად კი სპილენძისა და ბრინჯაოს სამკაული იყო გავრცელებული.

ტექსტი A	*შეკითხვა 1*	*შეკითხვა 2*	*შეკითხვა 3*	*შეკითხვა 4*	*შეკითხვა 5*	*შეკითხვა 6*	*შეკითხვა 7*

1. ტექსტის ძირითადი მიზანია

(ა) მიმოიხილოს ხელოსნობის დარგის – ოქრომჭედლობის – განვითარების ისტორია.

(ბ) მიმოიხილოს ოქრომჭედლობის როლი სამკაულის წარმოებაში.

(გ) მიმოიხილოს სამკაულის შექმნისა და მისი განვითარების ისტორია.

(დ) განიხილოს ფერადი ქვებისა და კეთილშობილი ლითონების მნიშვნელობა სამკაულის წარმოებაში.

(ე) განიხილოს უძველესი სამკაულის ძირითადი სახეობები.

ტექსტი A	*შეკითხვა 1*	*შეკითხვა 2*	*შეკითხვა 3*	*შეკითხვა 4*	*შეკითხვა 5*	*შეკითხვა 6*	*შეკითხვა 7*

2. სამკაულის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

(ა) კომპლექტში შემავალი სამკაულის ნაკრები ბრინჯაოს ხანიდან დღემდე მნიშვნელოვნად შეიცვალა.

(ბ) კეთილშობილმა ლითონებმა თავიანთი განსაკუთრებული თვისებების გამო სამკაულის წარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

(გ) ქრისტიანულ ქვეყნებში ჯვარმა, როგორც ქრისტეს სიმბოლომ, სამკაულთა სხვა ფორმები ჩაანაცვლა.

(დ) კეთილშობილი ლითონებისაგან დამზადებული სამკაულის სტილი ნაკლებად განიცდიდა ცვლილებას დროთა განმავლობაში.

(ე) ქალის სილამაზის იდეალის ცვლილებას თან სდევდა სამკაულის ახალი სახეობების შექმნა.

3. სამკაულის დანიშნულების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელი დასტურდება ტექსტში?

(ა) შუა საუკუნეებში სამკაულის მთავარი დანიშნულება ქრისტიანული რელიგიის სიმბოლიკის გამოხატვა იყო.

(ბ) დღევანდელი აზრი სამკაულის დანიშნულების შესახებ სრულიად განსხვავდება ძველ დროში არსებული წარმოდგენებისაგან.

(გ) ძველ დროში სამკაული ადამიანის სოციალური თუ ეთნიკური წარმომავლობის განმსაზღვრელი შეიძლება ყოფილიყო.

(დ) ადამიანთა წარმოდგენაში ზებუნებრივი ძალა მხოლოდ რელიგიურ სიმბოლოებს – ჯვრებსა და ღვთაების გამოსახულებებს – მიეწერებოდა.

(ე) სამკაულს თავდაპირველად ესთეტიკური ფუნქცია ჰქონდა, ხოლო მოგვიანებით მან სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა.

ტექსტი A	*შეკითხვა 1*	*შეკითხვა 2*	*შეკითხვა 3*	*შეკითხვა 4*	*შეკითხვა 5*	*შეკითხვა 6*	*შეკითხვა 7*

4. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

(ა) ძველ დროში სამკაული განკუთვნილი იყო როგორც ქალების, ისე მამაკაცებისათვის.

(ბ) ადამიანის პირველი სამკაული კეთილშობილი ლითონისაგან იყო დამზადებული.

(გ) ოქრომჭედლობა, როგორც ხელოსნობის დარგი, ოდითგანვე მხოლოდ სამკაულის წარმოებას ემსახურებოდა.

(დ) კაცის სამკაული მის სოციალურ მდგომარეობას წარმოაჩენდა, ქალის სამკაულს კი მხოლოდ ესთეტიკური ფუნქცია ჰქონდა.

(ე) ადამიანმა სამკაულის გამოყენება სპილენძ-ბრინჯაოს ხანიდან დაიწყო.

ტექსტი A	*შეკითხვა 1*	*შეკითხვა 2*	*შეკითხვა 3*	*შეკითხვა 4*	*შეკითხვა 5*	*შეკითხვა 6*	*შეკითხვა 7*

5. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან <u>მცდარია</u>:

(ა) საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე საზოგადოება ადრებრინჯაოს ხანაში სოციალურად ერთგვაროვანი იყო.

(ბ) საქართველო ლითონის დამუშავების თვალსაზრისით ერთ-ერთი უძველესი კერაა.

(გ) საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მოიპოვებდნენ სხვადასხვა ლითონს.

(დ) სამკაულის წარმოება საქართველოს ტერიტორიაზე ადრებრინჯაოს ხანიდან დასტურდება.

(ე) ადრებრინჯაოს ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე ოქრომჭედლები სამკაულის წარმოებისას ადგილობრივ მასალას იყენებდნენ.

ტექსტი A	*შეკითხვა 1*	*შეკითხვა 2*	*შეკითხვა 3*	*შეკითხვა 4*	*შეკითხვა 5*	*შეკითხვა 6*	*შეკითხვა 7*

6. ტექსტის ბოლო აბზაცში

(ა) წარმოდგენილია ტექსტის ძირითადი თემის საპირისპირო მაგალითი.

(ბ) გაკრიტიკებულია წინა აბზაცში გამოთქმული მოსაზრება.

(გ) განხილულია საკითხი, რომელიც ტექსტის ძირითად თემას უკავშირდება.

(დ) კონკრეტული მაგალითის საფუძველზე შეჯამებულია ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები.

(ე) წარმოჩენილია ტექსტში განხილული ერთ-ერთი საკითხის ახალი ასპექტი.

7. **შემდეგი საკითხები –**

A. სამკაული, როგორც მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენი

B. სამკაულის სიმბოლური ბუნება

C. ოქრომჭედლობის როლი სამკაულის ისტორიაში

D. საქართველო – სამკაულის წარმოების უძველესი კერა

E. სამკაულის სახეობები

რომელი თანამიმდევრობით არის წარმოდგენილი ტექსტში?

(ა) C, A, E, B, D

(ბ) B, C, E, A, D

(გ) A, B, D, C, E

(დ) C, E, A, B, D

(ე) B, D, A, C, E

ტექსტი A	*შეკითხვა 1*	*შეკითხვა 2*	*შეკითხვა 3*	*შეკითხვა 4*	*შეკითხვა 5*	*შეკითხვა 6*	*შეკითხვა 7*

გადასვლა B ტექსტზე →

ტექსტი B

მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ევროპული იდენტობა სათავეს ანტიკურ სამყაროში იღებს, დღეს მეცნიერთა საკმაოდ დიდი რაოდენობა უჭერს მხარს. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ანტიკურობაში ცნება „ევროპა“ მხოლოდ მითოლოგიურ და გეოგრაფიულ კონტექსტში არის განსახილველი. მკვლევართა უმეტესობის მიხედვით კი, უკვე ანტიკურ ეპოქაში კონცეფციას „ევროპა“ კულტურულ იდენტობად მოიაზრებდნენ; აშკარაა კავშირი გეოგრაფიასა (კერძოდ, კონტინენტებსა თუ კლიმატურ სარტყელებს) და კულტურის ცნებას შორის, რომელშიც სხვადასხვა დროს ძველი ბერძნები ხალხთა მახასიათებლებს, პოლიტიკურ სტრუქტურებს, სამხედრო აღზრდის ფაქტორებსა და აღზრდა-განათლებისა თუ ცხოვრების წესის მოდელებს გულისხმობდნენ.

ვარაუდობენ, რომ საწყის ეტაპზე ბერძნები სამყაროს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად ყოფდნენ და ტერმინებს „ევროპასა“ და „აზიას“ ეგეოსის ზღვის დასავლეთი და აღმოსავლეთი სანაპიროების აღსანიშნავად იყენებდნენ. თუმცა უკვე **ბერძენ ლოგოგრაფოსებთან** (ძვ. წ. VI ს.), რომლებსაც განსაკუთრებით აინტერესებდათ ცივი და ცხელი კლიმატის დაპირისპირების საკითხი, მსოფლიოს ეს ადრინდელი დაყოფა შეიცვალა ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად დაყოფით. შესაბამისად, მათ რუკაზე ჩრდილოეთით – ევროპის, ხოლო სამხრეთით აზიის კონტინენტები იყო განთავსებული ამ სარტყელთათვის ნიშანდობლივი ცივი და ცხელი კლიმატით.

მართალია, ძვ. წ. V საუკუნის ბერძენ ისტორიკოს **ჰეროდოტესთვის** ცნობილი იყო სამყაროს კიდევ ერთი კონტინენტის – აფრიკის არსებობა (ძველი ბერძნები მას ლიბიას უწოდებდნენ), ის მაინც სამყაროს ბიპოლარულ – სამხრეთად და ჩრდილოეთად – დაყოფას ანიჭებდა უპირატესობას. სწორედ დედამიწის სამხრეთ და ჩრდილოეთ კიდეებში ხედავდა ისტორიკოსი ერთსა და იმავე დროს სიმეტრიულ და ოპოზიციურ გეოგრაფიულ წყვილებს – სამხრეთის და ჩრდილოეთის მთავარ მდინარეთა (ნილოსისა და ისტროსის) თუ მთავარ ქართა (ნოტოსისა და ბორეასის) სახით.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი B	*შეკითხვა 8*	*შეკითხვა 9*	*შეკითხვა 10*	*შეკითხვა 11*	*შეკითხვა 12*	*შეკითხვა 13*	*შეკითხვა 14*

აღნიშნულ ფაქტორთა ოპოზიციიდან ჰეროდოტეს გამოჰყავს შეპირისპირება იმ ხალხებისა, რომლებიც მათ გავლენას განიცდიან. ეგვიპტელთა და სკვითთა მისეული აღწერა წარმოგვიდგენს წყვილურ ოპოზიციას სამხრეთ და ჩრდილოეთ სარტყლებში მდებარე კონტინენტების უძველეს ეთნოსებს შორის; სამხრეთელები – რბილი და დინჯი, ხოლო ჩრდილოელები ენერგიული და მამაცი მეომარი ხალხები არიან. მიუხედავად იმისა, რომ კავშირს კლიმატსა და სამხედრო ძლიერებას შორის ჰეროდოტესთან ჯერ კიდევ ჩანასახოვანი სახე აქვს, ცხადია, რომ ის უკვე ხედავს კავშირს კულტურას, ამ შემთხვევაში, სამხედრო ძლიერებასა, და კონტინენტებსა და კლიმატს შორის.

სამყაროს გეოკულტურული ხედვა – კლიმატის, კონტინენტთა და კულტურათა ურთიერთდამოკიდებულება – სისტემატიზებულ სახეს იღებს **უცნობი ბერძენი ავტორის** ტრაქტატში „ჰაერის, წყლებისა და ადგილების შესახებ“ (ძვ. წ. V საუკუნის ბოლო). განსხვავება ევროპასა და აზიას შორის ავტორს კლიმატური სხვაობის, ერთში – ცივი, ხოლო მეორეში ცხელი ტემპერატურის აღწერამდე არ დაჰყავს. მისი აზრით, აზიის ზომიერი კლიმატი განაპირობებს ნაყოფიერ მიწას, საქონლის სიჯანსაღეს, ადამიანთა აგებულებას, მათ ტანადობასა და სილამაზეს. მეორე მხრივ, ის გარემოება, რომ კეთილისმყოფელი კლიმატი მათ ცხოვრებისეული სირთულეების წინაშე არ აყენებს, აზიელების უარყოფითი თვისებების მიზეზად გვევლინება: ისინი არ არიან მამაცნი, ამტანნი, შრომისმოყვარენი და ენერგიულნი. ამის საპირისპიროდ ევროპისათვის დამახასიათებელი ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება, რაც სტრესულია ადამიანის სხეულისა და გონებისათვის, განაპირობებს მისი მაცხოვრებლების ენერგიულობას, სიმამაცეს, სამხედრო სიძლიერეს.

ძვ. წ. IV საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსები აგრძელებენ ფიქრს იმაზე, თუ რა ურთიერთმიმართება არსებობს კონტინენტებს, კლიმატსა და კულტურას შორის. **პლატონთან** სამყარო სამ კულტურულ-გეოგრაფიულ სარტყლად არის დაყოფილი; ჩრდილოეთში მცხოვრები სკვითები და თრაკიელები აგრესიულნი და შეუდრეკელნი არიან, ხოლო სამხრეთ სარტყელში განთავსებულ ეგვიპტელებსა და ფინიკიელებს პრაგმატულობა და ეშმაკობა ახასიათებთ; ცენტრალურ ზონაში მაცხოვრებელი ბერძნები კი, ცენტრისათვის (სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის მდებარეობა) მახასიათებელი სიქველის გამო, საუკეთესონი არიან, რადგან მათ უმთავრესი რამ – „ცოდნისმოყვარულობა“ ახასიათებთ.

ტექსტი B	*შეკითხვა 8*	*შეკითხვა 9*	*შეკითხვა 10*	*შეკითხვა 11*	*შეკითხვა 12*	*შეკითხვა 13*	*შეკითხვა 14*

8. ავტორის მთავარი მიზანია

(ა) წარმოაჩინოს კლიმატური პირობების როლი უძველეს ეთნოსთა სამხედრო ძლიერების ჩამოყალიბებაში.

(ბ) წარმოაჩინოს ევროპული იდენტობის ჩასახვის პროცესი ანტიკურობაში სამყაროს შესახებ არსებულ გეოკულტურულ წარმოდგენათა განხილვის ფონზე.

(გ) წარმოაჩინოს სამყაროს კულტურულ-გეოგრაფიულ სარტყლებად დაყოფის პლატონისეული კონცეფციის როლი ევროპული იდენტობის ჩამოყალიბებაში.

(დ) წარმოადგინოს სამყაროს ბიპოლარული დაყოფის ორ მოდელს შორის (აღმოსავლეთი – დასავლეთი და ჩრდილოეთი – სამხრეთი) ერთ-ერთის უპირატესობა.

(ე) გაგვაცნოს ანტიკური ეპოქის მოაზროვნეთა გეოგრაფიული წარმოდგენები სამყაროზე.

ტექსტი B	*შეკითხვა 8*	*შეკითხვა 9*	*შეკითხვა 10*	*შეკითხვა 11*	*შეკითხვა 12*	*შეკითხვა 13*	*შეკითხვა 14*

9. ტექსტიდან გამომდინარე, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ვის შეიძლება ეკუთვნოდეს ეს სიტყვები:

ისინი, ვინც ევროპაში, ცივი კლიმატის პირობებში ცხოვრობენ, ხასიათდებიან ენერგიულობით და სიმტკიცით, მაშინ, როდესაც აზიის მოსახლეობა მათგან მკვეთრად განსხვავებულია. მხოლოდ სამყაროს ცენტრში ბინადართ აქვთ ინტელექტი და ამიტომაც ისინი საუკეთესონი არიან.

(ა) ძვ. წ. VI საუკუნემდელ ბერძენ მოაზროვნეებს

(ბ) ბერძენ ლოგოგრაფოსებს

(გ) ჰეროდოტეს

(დ) ავტორს ტრაქტატისა „ჰაერის, წყლების და ადგილების შესახებ“

(ე) პლატონს

ტექსტი B	*შეკითხვა 8*	*შეკითხვა 9*	*შეკითხვა 10*	*შეკითხვა 11*	*შეკითხვა 12*	*შეკითხვა 13*	*შეკითხვა 14*

10. წინადადების კონსტრუქციას – „მართალია, ... ის მაინც ...“ (III აბზ. სტრ. 1-2) – ავტორი მიმართავს იმისათვის, რომ აჩვენოს:

ცოდნამ სამყაროს მესამე კონტინენტის, აფრიკის, არსებობის შესახებ

(ა) ხელი არ შეუშალა ჰეროდოტეს, გაეზიარებინა სამყაროს ბიპოლარული დაყოფის მოდელი.

(ბ) მისცა საშუალება ჰეროდოტეს, გაეანალიზებინა ეგვიპტელთა წარმოდგენები სამყაროს ბიპოლარული ხედვის შესახებ.

(გ) გააფართოვა ძველ ბერძენთა თვალსაწიერი გეოგრაფიის სფეროში.

(დ) ბიძგი მისცა ჰეროდოტეს, ეგვიპტელები მამაც მეომრებად წარმოეჩინა.

(ე) ხელი შეუწყო ჰეროდოტეს, ჩამოეყალიბებინა სამყაროს ბიპოლარული ხედვა.

11. ჩამოთვლილთაგან რომელი <u>არ</u> გამომდინარეობს ტექსტიდან?

(ა) გავრცელებული თვალსაზრისით, სამყაროს გეოკულტურული დაყოფა ანტიკურ სამყაროში იღებს სათავეს.

(ბ) გეოკულტურული დაყოფა გულისხმობს სამყაროს გეოგრაფიული დაყოფის კავშირს კულტურულ კონტექსტებთან.

(გ) სამყაროს ბიპოლარულ დაყოფას განიხილავდნენ არა მარტო ლოგოგრაფოსები, არამედ ისტორიკოსებიცა და ფილოსოფოსებიც.

(დ) ევროპული იდენტობის ანტიკურობაში ჩასახვის იდეის მომხრენი მიიჩნევენ, რომ ცნება „ევროპა“ იმ ეპოქაში მხოლოდ მითოლოგიურ და გეოგრაფიულ კონტექსტს გულისხმობდა.

(ე) სამყაროს გეოკულტურული ხედვა, როგორც სისტემა, ჰეროდოტესთან ჩამოუყალიბებელ სახეს ატარებს.

12. რა განასხვავებს პლატონის კონცეფციას ძვ. წ. V საუკუნის მოაზროვნეთა წარმოდგენებისაგან?

(ა) პლატონის კონცეფციის მიხედვით, სხვადასხვა სარტყლის მაცხოვრებლებს განსხვავებული მახასიათებლები აქვთ.

(ბ) ჩრდილოეთში მცხოვრებ ეთნოსებს სპეციფიკური კლიმატური პირობების გამო ახასიათებს ენერგიულობა და აგრესიულობა.

(გ) კლიმატი განაპირობებს სხვადასხვა სარტყელში მცხოვრებ ეთნოსებს შორის განსხვავებას.

(დ) პლატონის კონცეფციაში ხაზგასმულია ბერძნული ეთნოსის განსაკუთრებულობა.

(ე) პლატონის მიხედვით, უშუალო კავშირი კლიმატურ პირობებსა და ამა თუ იმ ეთნოსის მახასიათებლებს შორის თვალსაჩინო არ არის.

13. უძველესი წარმოდგენები სამყაროს გეოკულტურული დაყოფის შესახებ მოცემულ ტექსტში

(ა) წარმოდგენილია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

(ბ) დალაგებულია უძველეს ეთნოსთა გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით.

(გ) წარმოდგენილია სისტემატიზაციისა და თანამიმდევრობის გარეშე.

(დ) წარმოდგენილია ხალხთა მახასიათებლების, პოლიტიკური სტრუქტურებისა და სამხედრო აღზრდის მოდელების მიხედვით.

(ე) დაჯგუფებულია თემატურად, შინაარსის მიხედვით.

14. I აბზაცის ძირითადი აზრის გასამყარებლად ავტორი

(ა) აღწერს სხვადასხვა გეოგრაფიული სარტყლის კლიმატურ თავისებურებებს.

(ბ) განიხილავს ბერძენ მოაზროვნეთა წარმოდგენებს სამყაროს გეოკულტურული ხედვის შესახებ.

(გ) მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ძვ. წ. V ს. ფილოსოფოსთა შეხედულებებს, ვიდრე ძვ. წ. VI ს. მოაზროვნეთა წარმოდგენებს.

(დ) კრიტიკულად აფასებს სამყაროს ბიპოლარული დაყოფის მოდელებს.

(ე) ერთმანეთს უპირისპირებს პლატონისა და მის წინამორბედ ბერძენ მოაზროვნეთა წარმოდგენებს სამყაროს გეოკულტურული დაყოფის შესახებ.

ტექსტი B	*შეკითხვა 8*	*შეკითხვა 9*	*შეკითხვა 10*	*შეკითხვა 11*	*შეკითხვა 12*	*შეკითხვა 13*	*შეკითხვა 14*

გადასვლა C ტექსტზე →

ტექსტი C

თანამედროვე ეპოქა მეცნიერების სწრაფი პროგრესით ხასიათდება. დაგროვილია ცოდნის უზარმაზარი მარაგი, მაგრამ მისი განზოგადება, მეცნიერების ვიწრო სპეციალობებად დიფერენციაციის გამო, ნაკლებად ხდება. დღეისათვის დისციპლინათაშორისი ურთიერთმიმართების მოგვარება მნიშვნელოვანია, რადგან უდიდესი მეცნიერული მიღწევები განპირობებულია სწორედ სხვადასხვა დარგში მიმდინარე კვლევების ინტეგრირებით.

ამ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებლად უნდა მოიძებნოს გზები. ერთ-ერთი ასეთი საშუალება საგანგებო საკომუნიკაციო ენის არსებობაა, რომელიც გააადვილებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში მიღებული შედეგების ურთიერთგაზიარებას. მატერიალური საგნებისა და მოვლენების აღწერის ასეთი უნივერსალური ენა არის სისტემების ზოგადი თეორია.

სისტემების ზოგადი თეორიის ცენტრალური იდეა თვით სისტემის ცნებაა. სხვადასხვა დარგის ფარგლებში სისტემის არაერთი განმარტება არსებობს. რა დარგსაც არ უნდა განეკუთვნებოდეს ცალკეული ცნება (მაგალითად, მზის სისტემის ცნება ასტრონომიას, ნერვული სისტემისა – მედიცინას და ა. შ.), ყოველთვის ლაპარაკია მთელისა და ნაწილების ურთიერთმიმართებაზე. მთავარი აზრი არის ის, რომ ნაწილები ქმნიან მთლიანობას, ერთობას და ეს ერთობა მიიღწევა არა უბრალოდ ნაწილების თავმოყრით, რომელთაც ერთმანეთთან რაიმე საერთო წესი არ აკავშირებს (ასეთ შემთხვევაში კონგლომერატთან გვაქვს საქმე), არამედ დროსა და სივრცეში ამ ნაწილებს შორის გარკვეული წესრიგის მიხედვით განსაზღვრული ურთიერთმიმართებებით.

ნამდვილი სისტემა არის თვით უნივერსუმი – სამყარო, ხოლო ნებისმიერი სხვა სისტემა ადამიანის მიერ არის წარმოდგენილი, წარმოსახვითია. სისტემაში იგულისხმება სიმრავლე იმ ნაწილებისა, რომლებიც ერთმანეთთან შესამჩნევად უფრო მჭიდრო ურთიერთკავშირშია, ვიდრე ამ სიმრავლის განხილვისას ჩვენს თვალსაწიერში მოხვედრილი სამყაროს სხვა ნაწილები, რომლებიც გარემოს ქმნიან. ნიშანდობლივია, რომ სისტემის შესახებ მსჯელობისას ყოველთვის გათვალისწინებული უნდა იყოს მისი კავშირურთიერთობა გარემოსთან. ამის საუკეთესო საილუსტრაციო მასალად ცოცხალი ორგანიზმი, მაგალითად, ადამიანი გამოდგება, რომლის ნაწილებს (ორგანოებს, ქსოვილებს, უჯრედებს) მჭიდრო კავშირი აქვს ერთმანეთთან, ხოლო ადამიანი, თავის მხრივ, მჭიდრო კავშირშია გარემოსთან.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი C	*ამოცანა 15*	*ამოცანა 16*	*ამოცანა 17*	*ამოცანა 18*	*ამოცანა 19*	*ამოცანა 20*	*ამოცანა 21*

სამყაროში ნებისმიერი სისტემის საფუძველი არის სტრუქტურა, ანუ აგებულება; ეს არის წესრიგი, რომელსაც ემორჩილება ელემენტების ურთიერთობა, მაგალითად, შენობაში ბლოკების შეკავშირების წესი, ცოცხალი ორგანიზმის აგებულება, თუ ელექტრონულ სქემაში დეტალების დაკავშირების წესი. მაგრამ სტრუქტურა არ არის საკმარისი სისტემის არსებობისათვის. სისტემის არსებობის შენარჩუნებისათვის საჭიროა სისტემის ნაწილების მიერ გარკვეული ფუნქციების - ქმედებების შესრულება. კიდევ ერთი საგულისხმო მახასიათებელი, რომელიც არსებითია სისტემისათვის, არის სისტემის შემადგენელი ელემენტების ორგანიზება, მთლიანობაში, ერთიანობაში მოყვანა.

განასხვავებენ ფიზიკურ და სტატისტიკურ სისტემებს. ფიზიკურს უწოდებენ სისტემას, რომელშიც ელემენტებს შორის სტრუქტურული კავშირები ცხადად ჩანს და ეს სტრუქტურა გარემოსგანაც ცხადად განირჩევა. ამისი ნათელი მაგალითია ხიდი; მისი ელემენტები გარკვეულ სტრუქტურას ქმნიან, რომლებიც გარემოსგან აშკარად გამოკვეთილია, ან ძრავი, რომლის ნაწილების ურთიერთკავშირი და კოორდინირებული მოქმედება, ისევე, როგორც გარემოსგან მკვეთრი გამოცალკევება, ნათელია. სტატისტიკურ სისტემაში ელემენტთა კავშირურთიერთობების დაფიქსირება, ანუ სტრუქტურის აღმოჩენა, ისევე, როგორც გარემოსგან მისი გამოცალკევება, არცთუ იოლია და კვლევის საგანგებო მეთოდს მოითხოვს. თუ გამოვლინდა, რომ ელემენტებს შორის კავშირურთიერთობები გარკვეული სახით არსებობს და ცალკეულ ელემენტს ერთი კავშირი მაინც აქვს დამყარებული ამავე სიმრავლის სხვა რომელიმე ელემენტთან, მაშინ სახეზე სტატისტიკური სისტემაა. ამგვარი სისტემის მაგალითია ეკოსისტემა, რომლის ელემენტებს შორის კავშირის დანახვა საგანგებო დაკვირვების გარეშე ძნელია.

სისტემების ზოგადი თეორია უნივერსალურია და მისი გამოყენება კვლევის ნებისმიერ სფეროში შეიძლება.

ტექსტი C	*შეკითხვა 15*	*შეკითხვა 16*	*შეკითხვა 17*	*შეკითხვა 18*	*შეკითხვა 19*	*შეკითხვა 20*	*შეკითხვა 21*

15. რა არის ავტორის ძირითადი მიზანი?

(ა) სისტემათა სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის მოწოდება.

(ბ) სისტემათა ზოგადი თეორიის მიმოხილვა მეცნიერებათა ინტეგრირებისა და განვითარების გზების გამონახვის მიზნით.

(გ) ფიზიკურ და სტატისტიკურ სისტემათა შორის მსგავსება-განსხვავებების გამოკვეთა.

(დ) კვლევის სხვადასხვა სფეროში სისტემების ზოგადი თეორიის გამოყენების მექანიზმის ჩვენება.

(ე) სისტემათა მახასიათებლების განხილვა.

16. შემდეგი საკითხები:

A. უნივერსალური ენის შემუშავების აუცილებლობა

B. სისტემის მახასიათებლები

C. სისტემის რაობა

D. სისტემათა ტიპები

რა თანამიმდევრობით არის წარმოდგენილი ტექსტში?

(ა) C, A, D, B

(ბ) C, B, A, D

(გ) D, C, B, A

(დ) A, C, B, D

(ე) A, C, D, B

17. თანამედროვე მეცნიერების შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელი <u>არ</u> დასტურდება ტექსტში?

(ა) დღეისათვის მეცნიერების სხვადასხვა დარგს შორის სასურველია უფრო მეტი კავშირი.

(ბ) მნიშვნელოვანი მეცნიერული მიღწევების წინაპირობა სხვადასხვა დარგში მოპოვებული ცოდნის ინტეგრირებაა.

(გ) დღეისათვის მეცნიერების დარგები ვიწრო სპეციალობებად არის დაყოფილი.

(დ) მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი გზა სისტემათა ზოგადი თეორიის გამოყენებაა.

(ე) დღეისათვის სისტემათა ზოგადი თეორია სრულად არის გაზიარებული სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა მიერ.

18. ტექსტიდან გამომდინარე განსაზღვრეთ, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელს განეკუთვნება ჰიდროელექტროსადგური?

(ა) სტატისტიკურ სისტემას

(ბ) ფიზიკურ სისტემას

(გ) კონგლომერატს

(დ) სისტემას, რომლის გამოცალკევება გარემოსაგან რთულია.

(ე) სისტემას, რომლის ტიპის განსაზღვრა კვლევის საგანგებო მეთოდს მოითხოვს.

19. რომელი დასკვნა გამომდინარეობს ტექსტიდან?

(ა) წარმოსახვითი სისტემების მახასიათებლების განსაზღვრა უფრო რთულია, ვიდრე ნამდვილი სისტემის – სამყაროს – მახასიათებლებისა.

(ბ) სისტემისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ელემენტებისათვის ფუნქციის მინიჭება, მათი ორგანიზება.

(გ) ცოცხალი ორგანიზმებიდან გარემოსთან ყველაზე მჭიდრო კავშირი ადამიანს აქვს.

(დ) სისტემის შემადგენილი ელემენტების ორგანიზება მისი არსებობის საკმარისი წინაპირობაა.

(ე) სამყაროს ნაწილები შესაძლოა სხვადასხვა სისტემის სახით წარმოგვიდგეს.

20. რომელი დეფინიცია შეესაბამება სისტემის ერთ-ერთ მახასიათებელს – სტრუქტურას ყველაზე მეტად?

(ა) „შესასრულებელი საქმე, მოვალეობა, როლი, დანიშნულება.“

(ბ) „აგებულება, წყობა.“

(გ) „სისტემაში მოყვანა, მოწესრიგება, მოწყობა.“

(დ) „სხვადასხვა ნაწილების ან საგნების მექანიკური შეერთება.“

(ე) „გარემოსაგან მკვეთრად გამოცალკევებული ელემენტების ერთობლიობა.“

21. ბიოლოგიაში ორგანიზმის, ან რომელიმე ორგანოს (მაგ. ძვლის, სანერწყვე ჯირკვლის) სპეციფიკური მოქმედება სისტემის რომელ მახასიათებელს შეესაბამება ყველაზე მეტად?

(ა) სისტემის უნივერსალურობას

(ბ) გარემოსთან კავშირს

(გ) სტრუქტურას

(დ) ფუნქციას

(ე) ორგანიზებას

ტექსტი C	*შეკითხვა 15*	*შეკითხვა 16*	*შეკითხვა 17*	*შეკითხვა 18*	*შეკითხვა 19*	*შეკითხვა 20*	*შეკითხვა 21*